



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი
(60სა60)
15-30
№6 (315)
(5770)
2010
ფასი 50 თეთრი

“מנורה”
עיתון יהודי
בגוריה

ისრაელის საელჩოს დიდი ღონისძიება

თბილისის კინოს სახლში ერთი კვირა – 9-16 მარტი – მიმდინარეობს ისრაელის თანამედროვე კინემატოგრაფიის დათვალიერება – ისრაელის საელჩო საქართველოში და თბილისის კინოს სახლმა გამართეს თანამედროვე ისრაელის მხატვრული ფილმების ფესტივალი.

მცირე ისტორია:

ისრაელის საელჩოში პირველი კინოდათვალიერება თბილისში გამართა 2001 წელს. ისევ კინოს სახლთან ერთად (ასევე მონაწილეობდა რუსთაველის სახ. კინოთეატრი). ისრაელის მამინდელმა ელჩმა საქართველოში ეპუდ ეითამმა კინოფესტივალის გახსნისას ისაუბრა წარმოდგენილ ფილმებზე. საინტერესო გახლდათ ერთი გარემოება: იმ კინოფესტივალზე, თანამედროვე ისრაელის კინოს ჩინებული ოსტატების ფილმებთან ერთად, წარმოდგენილი იყო დინა ჩაბლინას ფილმი დიდებულ ქართველ ებრაელ მხატვარზე მეირ ფინსაძეზე, ათასწლეულების მიჯნაზე ამ ფილმმა ისრაელში დიდი პოპულარობა მოიპოვა და საქართველოშიც ინტერესით ნახეს. იმ ფესტივალზე იყო აგრეთვე წარმოდგენილი კინორეჟისორ იოსებ ფინსაძის ფილმი „დასავლელის თვალით“, იმ წლებში ეს ფილმიც ერთობ გახმაურდა ისრაელში და თბილისშიც ინტერესი გამოიწვია.

2002 წელს კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილისა და მწერალ გურამ ბათიაშვილის ინიციატივით თბილისში ასევე კინოს სახლში და კინოთეატრ „რუსთაველი“ ნაჩვენები იქნა დობერ ქოსაშვილის ფილმი „დაგვიანებული ქორწილი“. „დაგვიანებული ქორწილი“ ისრაელში ერთობ გახმაურდა, მან ცხრა ნომინაციაში მიიღო ისრაელის კინოსკოლის ოსკარი. ისრაელის ქართველ ებრაელებში კი ფილმისადმი ერთობ გაორებული დამოკიდებულება გახლდათ და სამწუხაროდ, დაფიქრების, ანალიზის საგანი არ გამხდარა ის, თუ რა იყო ამ გაორების მიზეზი.

2003 წელს მისევე თემანიაშვილის სახ. ხელოვნების ფესტივალზე „სანუ-ქარი“ ნაჩვენები გახლდათ დათვი ოფეკის მხატვრულ-დოკუმენტური საინტერესო ფილმი.

ამის შემდეგ ისრაელის არც კინო, არც ხელოვნების სხვა დარგი საქართველოში არ გაჭაჭანებულა.

2005-08 წლებში ისრაელის დამოუკიდებლობის დღეების აღნიშვნისას ისრაელის კულტურა საქართველოში მომღერლების-მორის ჯანაშვილის, იმიხელაშვილის დონეზე გახლდათ წარმოდგენილი. ეს იყო და ეს!

და აი, მეორე კინოფესტივალი, რომელიც 9 მარტს გაიხსნა, ერთობ საინტერესო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმით დაიწყო და დამთავრდა 16 მარტს.

საგულისხმოა ერთი გარემოება: ისრაელის ფილმების ფესტივალი ერთდროულად დაიწყო პარიზსა და თბილისში. თბილისში ერთობ კეთილსასურველ გარემოში გახსნა იგი ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იცხაკ გერბერგმა, პარიზში ფესტივალის გახსნისათვის ისრაელის კულტურის მინისტრი ლიმორ ლიენათი ჩავიდა, მაგრამ ფესტივალის დაწყების წინ დარბაზში შეიჭრნენ პროპალესტინური ძალები და შეეცადნენ ფესტივალი ჩაეშალათ.

თბილისის კინოფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 8 ფილმი: არი ფოლმანის ანიმაციური ფილმი „ვალსი ბაშირთან“, შემი ზარპინის „შლომის ვარსკვლავი“, ელი ქოენის „რუტენბერგი“, შაი კანტის „კოლუმბური სიყვარული“, ამოს გიტაის „კედმა“, ეთან ფოქსის „გასეირნება წყალზე“, იოსებ შედარის „ბოფორი“, ავი ნესერის „სამყაროს დასასრულს მარცხნივ“.

ფილმები წარმოდგენილი იყო ებრაულ ენაზე, რუსული სუბტიტრებით.

ფესტივალის გახსნის დღეს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-მა იცხაკ გერბერგმა გახუტა „მენორას“ კორესპონდენტს უთხრა:

– ჩვენ თბილისში 8 ფილმი ჩამოვიტანეთ. პირველი ფილმი, რომელიც ფესტივალი გავხსენით, გახლდათ არი ფოლმანის „ვალსი ბაშირთან“. იგი ეხება ომში მონაწილე ისრაელელ ჯარისკაცთა დრამატულ თავგადასავლებს. ფილმის იდეა გახლავთ შემდეგი: დაანახოს მყურებელს, რომ ადამიანის სიცოცხლე ძალზედ მნიშვნელოვანია.

მართალია, ებრაელ ჯარისკაცთა ნაწილები, რომლებიც ფილმშია წარმოდგენილი, მთავარ შეტაკებებში არ იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ მათზეც აისახა ამ ომის უარყოფითი შედეგები.

ფესტივალზე წარმოდგენილ ფილმთა შორის ეს გახლავთ ყველაზე მძიმე და ემოციურად დატვირთული სურათი, რადგან იგი წარმოაჩენს ომის მანკიერებას. რეჟისორი ასეთი მხატვრული ხერხით შეეცადა გადმოეცა თავისი აზრი და დამოკიდებულება ომის მიმართ.

კინოკრიტიკოსებმა ეს ფილმი დადებითად შეაფასეს.

რაც შეეხება დანარჩენ შვიდ ფილმს, ისინი პირველისგან განსხვავებულია და ჩვეულებრივ ადამიანებსა და მათ ცხოვრებას წარმოგვიდგენს.

ჩვენ აგრეთვე გავსაუბრეთ ამოს გიტაის ფილმ „კედმა“-ზე მოსულ კინორეჟისორებს: **მერაბ კოკოჩაშვილი:**

– უპირველეს ყოვლისა, ძალიან კარგია და საინტერესო, როდესაც ეცნობი სხვა ქვეყნის ფილმებს. თემატიკით ბევრი რამ ისეთია, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შინარსობრივად ფილმი საინტერესოა და საყურადღებოა, როგორც ისრაელისთვის, ისე საერთოდ ყველასთვის, რადგან ვფიქრობ, საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს რა ხდება მსოფლიოში, როდესაც ასეთი მწვავე დაპირისპირება არსებობს ხალხებს შორის.

რამდენიმე ეპიზოდი საკმაოდ ემოციურია, განსაკუთრებით, როდესაც იქ მაცხოვრებელი არაბები ჩნდებიან კადრში. ისინი თვლიან, რომ ეს მათი მიწაა, ასევე ფიქრობენ ებრაელები. ჩვენ ვხედავთ, თუ რა დაპირისპირება ხდება ამის გამო.

ისრაელის საელჩო საქართველოში წარმოადგენს
The Embassy of Israel to Georgia presents
საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი
Union of Georgian Filmmakers

9 - 16 მარტი
March 9-16

9 მარტი - "ვალსი ბაშირთან" March 9 - "Waltz with Bashir"
10 მარტი - "შლომის ვარსკვლავი" March 10 - "Shlomi's star"
11 მარტი - "რუტენბერგი" March 11 - "Ruttenberg"
12 მარტი - "კოლუმბური სიყვარული" March 12 - "Columbian Love"
13 მარტი - "კედმა" March 13 - "Kedma"
14 მარტი - "სამყაროს დასასრულს მარცხნივ" March 14 - "Turn Left at the End of World"
15 მარტი - "ბოფორი" March 15 - "Beaufort"
16 მარტი - "გასეირნება წყალზე" March 16 - "Walk on Water"

Beginning at 18:00
დასაწყისი 18:00 საათზე

კინოს სახლი - მძებნი კაკაბაძეების ქ. №2
დასწრება თავისუფალი
ტელ.: 92 28 55; 95 17 09 Cinema House - 2 Br.Kakabadze str.
Admission free
Tel.: 92 28 55; 95 17 09

ვფიქრობ, რომ ზოგიერთი რამ ფილმში, მაგალითად მონოლოგები თეატრალური და ლიტერატურული საფუძვლიდან უფრო არის გადმოსული, ვიდრე კინემატოგრაფიიდან.

ისე კი, რასაკვირველია, ჩემთვის პირადად ძალიან საინტერესო იყო გაცნობა ისრაელის დღევანდელ კინემატოგრაფიასთან.

ნანა ჯანელიძე:

– „კედმა“ საინტერესო ფილმი იყო, რომელიც არაჩვეულებრივი კინემატოგრაფიული ხერხებით გახლავთ გადაღებული. რა თქმა უნდა, ფილმი ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას ასახავდა. რაც მთავარია, რეჟისორი ერთნაირად მოეკიდა არაბებისა და ებრაელების გულსტკივილს და ამიტომ ორივე ერთნაირ თანადგომას იწვევს მყურებელში.

მართლაც კარგი და სერიოზული ფილმი ვიხილეთ.

ფესტივალი საინტერესო გამოდგა იმიტომ, რომ მან ისრაელის ყოფის სხვადასხვა ასპექტი წარმოგვიდგინა: დამოუკიდებლობის დამკვიდრება, ისრაელის სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მისწრაფება მშვიდობიანი ყოფისაკენ და ოჯახური დრამა, ქალ-ვაჟის ურთიერთობა.

ყველა ეს ფილმი ცხადია, ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი სტილისტიკით, რეჟისორული მანერით, მაგრამ ყოველი მათგანი გვიამბობს იმაზე, თუ როდენ რთულ პირობებში უხდება ისრაელს არსებობა, როდენი წინააღმდეგობები არსებობს საზოგადოებაში, ისე როგორც ყოველი ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის.

29 მარტი-ინჟიბა ფასახი გამოსვლის დღესასწაული. გილოცავთ!

გ ა მ ო ს ვ ლ ა

თავი მეექვსე

უთხრა უფალმა მოშეს: აწ იხილავ, რას ვუხამ ფაროს, რამეთუ ძლიერი ხელი (იძულებელყოფს მას) გაუშვას ისინი და ძლიერი ხელი აიძულებს გაყაროს თავისი ქვეყნიდან.

2. ელაპარაკა ღმერთი მოშეს და უთხრა მას: მე ვარ უფალი!

3. ყოვლადძლიერ ღმერთად გამოვეცხადე აბრაჰამს, იცხაკს და იაკობს. და ჩემი სახელი – უფალი – არ მიუწყებია მათთვის.

4. ჩემი აღთქმა დავადგინე მათთან, რათა მივეცე მათ ქენაანის ქვეყანა, მათი საცხოვრებელი ქვეყანა, სადაც ცხოვრობდნენ.

5. მევე ვისმინე სულთქმა ისრაელის ძეთა, რომელთაც ეგვიპტელები იძინებენ, და გავიხსენე ჩემი აღთქმა.

6. ამიტომ უთხარი ისრაელის ძეებს: მე ვარ უფალი, მე გამოვიყვანეთ ეგვიპტელთა წამებოთაგან, მე გადავარჩინე მათი მონობისაგან, მე გიხსნიე გაწვდილი მკლავით და განსჯებით.

7. ავიყვანე ჩემს ხალხად და ვიქნები თქვენს ღმერთად. შეიცნობთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტელთა წამებოთაგან თქვენი გამოყვანი.

8. მივიყვანე იმ ქვეყანაში, რომელზეც (ფიცით) აღმართე ხელი, რომ ის ვუბოძო აბრაჰამს, იცხაკს და იაკობს. თქვენთვის მომიცია იგი სამკვიდროდ. მე ვარ უფალი.

9. ასე ელაპარაკა მოშე ისრაელის ძეებს, მაგრამ არ უსმინეს მოშეს სულმოკლეობისა და მძიმე სამუშაოს გამო.

10. ელაპარაკა უფალი მოშეს ამ თქმით:

11. მიდი, ელაპარაკე ფაროს, ეგვიპტის მეფეს, გაუშვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

12. ელაპარაკა მოშემ უფლის წინაშე, ამ თქმით: აი, ისრაელის ძეებმა არ უსმინეს ჩემი. როგორც მომიხმენს ფარო, მე ხომ ბაგებრავილი ვარ?

13. ელაპარაკა უფალი მოშეს და აპარონს და აბრამნებინა ისრაელის ძეთათვის და ფაროსათვის, ეგვიპტის მეფისათვის, ეგვიპტის ქვეყნიდან ისრაელის ძეთა გამოყვანა.

14. ესენი არიან თავიანთი მამისეული სახლეულების მეთაურები: ისრაელის პირშოს – რეუბენის ძენი: ხაროხი, ფალუ, ხეტრონი და ქარმი. ესენია რეუბენის საგვარეულონი.

15. შიმონის ძენი: იემუელი, იამინი, ოჰადი, იახინი და ცოხარი და შაული, ძე ქენანელი დედაკაცისა. ესენია შიმონის საგვარეულონი.

16. ესენია ლევის ძეთა სახელები თავიანთი გვარტომობით: გერშონი, კჰათი, მერარი. ლევის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდა ჩვიდმეტი წელი.

17. გერშონის ძენი: ლიბნი და შიმი თავიანთი საგვარეულოებით.

18. კჰათის ძენი: ამრაში, იცჰარი, ხებრონი და უზიელი. ჰაკეთის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდა ცამეტი წელი.

19. მერარის ძენი: მახლი და მუში. ესენია ლევის საგვარეულონი თავიანთი გვარტომობითურთ.

20. და მოიყვანა არამმა იოხებელი, თავისი მამიდა, ცოლად და ქალმა მას უშვა აპარონი და მოშე, აბრამის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდაჩვიდმეტი წელი.

21. იცჰარის ძენი: კორახა, მეფევი და ზიხრი.

22. უზიელის ძენი: მიშაელი, ელცაფანი და სითრი.

23. აპარონმა ცოლად მოიყვანა ელიმება, ამინადაბის ასული, ნახშონის და. მას

უშვა ქალმა ნადაბი, ამიჰუ, ელაზარი და ითამარი.

24. კორახის ძენი: ასირი, ელკანა და აბისაფი. ესენია კორახელთა საგვარეულონი.

25. და ელაზარმა, არახონის ძემ, ცოლად მოიყვანა ფუტიერის ასულთაგანი და უშვა მას ფიმზასი. ესენი არიან ლევიელთა მამამთავარი თავიანთი საგვარეულოებით.

26. ეს ის აპარონი და მოშეა, რომელთაც უთხრა უფალმა: გაიყვანეთ ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყნიდან თავიანთი ლაშქრებითურთ.

27. ისინი ელაპარაკებოდნენ ფაროს, ეგვიპტის მეფეს, ეგვიპტიდან ისრაელის ძეთა გაყვანისათვის. ესენი იყვნენ მოშე და აპარონი.

28. და იმ დღეს იყო, რომ ელაპარაკებოდა უფალი მოშეს ეგვიპტის ქვეყანაში.

29. ელაპარაკა უფალი მოშეს, ამ თქმით: მე ვარ უფალი. რასაც მე ელაპარაკებ შენთან, ყველაფერი ელაპარაკე ფაროს, ეგვიპტის მეფეს.

30. თქვა მოშემ უფლის წინაშე: აჰა, მე ვარ ბაგებრავილი, როგორ მომიხმენს მე ფარო?

ფესხანი – ეს არის ებრაელთა — თორის ხალხის, დაბადების თარიღი. ეს ის პერიოდია, როდესაც ებრაელი ხალხისათვის მისი ისტორიის მანძილზე უდიდესი სასწაულები ხდებოდა. ეს ერთი მთლიანი ორი შემადგენელი ნაწილია. შემოქმედი სასწაულებს მოკვილენს მამის, როდესაც ჩვენ ვასრულებთ მის ნებას. და ეს გასაცემიცაა. მან ხომ არჩევანი შემოკვილავს — ან უნდა ვიყოთ მისი მონები, ან — მონათა მონები. ანუ აღმდინათა, იდეალების, ფულის და მრავალი სხვა ასეთის მონები. როდესაც ჩვენ მორე გზას ვირჩევთ, ვეცდებით მატერიალური ფაქტორების გავლენის ქვეშ. სწორედ ისინი გვმართავენ ჩვენ. ხოლო თორისა და მიცვების გზის არჩევის შემთხვევაში, ჩვენ უშუალოდ შემოქმედის მმართველობის ქვეშ ვართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ის, რაც ჩვენი გაცემის მიღება, ის რასაც ჩვენ სასწაულს ვუწოდებთ.

ფესხანის ისტორიიდან ჩვენ ვკანსოვს, რომ გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც დაიფერა და აიჩინა შემოქმედისადმი სამსახურის გზა, დანარჩენები კი აღივანენ პირისაგან მიწისა. ისტორია მეორედ, შემოქმედის კანონები უცვლელია. იგივე არჩევანის წინაშე ვდგავართ ჩვენც. იოხს ნება შემოქმედისა, რომ დამდეგი ფესხანი დაგვემაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში.



თავი მეშვიდე

უთხრა უფალმა მოშეს: შეხედე, ღვთის (ნაცვლად) დამიდგენიარ ფაროსთვის. და აპარონი, შენი ძმა, შენი წინასწარმეტყველი იქნება.

2. შენ ელაპარაკებ ყველაფერს, რასაც გიბრძანებ, ხოლო შენი ძმა აპარონი ფაროსთან ელაპარაკებს, რომ გაუშვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

3. მე გაემძინებარე ფაროს გულს, გაემძინებარე ჩემს ნიშნებსა და ჩემს სასწაულებს ეგვიპტის ქვეყნად.

4. არ მოგიხმენთ თქვენ ფარო და მე მივეფო ჩემს ხელს ეგვიპტეს. და დიდი განსჯებით გამოვიყვან ჩემს ლაშქრინებს, ჩემს ხალხს, ისრაელის ძეებს ეგვიპტის ქვეყნიდან.

5. და შეიტყობენ ეგვიპტელები, რომ ვარ უფალი, როცა გავიწვიე ჩემს ხელს ეგვიპტეზე და გამოვიყვან ისრაელის ძეებს მათი წიაღიდან.

6. მოშე და აპარონი ისე ქმედობდნენ, როგორც ამცნო მათ უფალმა, ისე აღასრულეს.

7. მოშე იყო ოთხმოცი წლისა, ხოლო აპარონი ოთხმოცდა სამი წლისა, როცა ისინი ფაროსთან ლაპარაკობდნენ.

8. უთხრა უფალმა მოშეს და აპარონს ამ თქმით:

9. თუ გეტყვით თქვენ ფარო, ამ თქმით: ჰყავთ სასწაული, უთხარი აპარონს: აიღე შენი კვერთხი და წინ დაუგდე ფაროს — გველად იქცევა იგი.

10. მივიდნენ ფაროსთან მოშე და აპარონი და იმოქმედეს ისე, როგორც ბრძანა უფალმა. გადაისროლა აპარონმა თავის კვერთხი ფაროსა და მის მორჩილთა წინაშე, და იქცა გველად.

11. უხმო ფარომ ბრძენებსა და ჯადოქრებს. და მათაც, ეგვიპტის გრძეულებმა, თავიანთი ჯადოქრობით იგივე გააკეთეს.

12. გადაისროლეს თავიანთი კვერთხები და იქცნენ გველებად. და შთანთქა აპარონის კვერთხმა მათი კვერთხები.

13. გაუმძინებარდა გული ფაროს და არ უსმინა მათ, როგორც ელაპარაკა უფალმა.

14. უთხრა უფალმა მოშეს: გული დაუქმდება ფაროს, უარობს ხალხის გაშვებას.

15. წადი დილით ფაროსთან. აჰა, წყალთან გამოვა და შენ დადექი მის შესახვედრად, ნილოსის პირას. და კვერთხი, გველად რომ იქცა, ხელთ აიღე.

არტიმ ლევინი
საქართველოს მთავარი რაბინი

აზიმილუხ როზენბლადი
საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი

16. უთხარი მას: უფალმა, ებრაელთა ღმერთმა, მომაველინაო შენთან, ამ თქმით: გაუშვი ჩემი ხალხი და უდაბნოში მსახურებდეს მე. და აჰა, არ ისმინე აქამდე.

17. ასე თქვა უფალმა: ამით შეიტყობ, რომ მე ვარ უფალი: აჰა, ამ კვერთხს, ჩემს ხელთ რომ არის, დაგკრავ ნილოსის წყალს და სისხლად იქცევა.

18. თეგზი, რომელიც ნილოსშია, მოკვდინდება. აყროლდება ნილოსი და ეგვიპტელები ვეღარ დალევენ წყალს ნილოსიდან.

19. უთხრა უფალმა მოშეს: უთხარი აპარონს: აიღე შენი კვერთხი და გაიწვიე შენი ხელი ეგვიპტელთა წყლებზე: მათ მდინარეებზე, მათ ნაკადულებზე, მათ ტბებზე და მათი წყლების ყოველ შესაკრებელზე, და იქცევიან სისხლად, სისხლი იქნება ეგვიპტის მთელ ქვეყანაში, ხეში თუ ქვამში.

20. ისე იმოქმედეს მოშემ და აპარონმა, როგორც ბრძანა უფალმა. აღმართა კვერთხი და დასცა ნილოსის წყალს, ფაროსა და მის მორჩილთა წინაშე, და იქცა სისხლად ნილოსის მთელი წყალი.

21. მოკვდინდა თეგზი ნილოსში, აყროლდა ნილოსი და აღარ ძალუძდათ ეგვიპტელებს წყლის სმა ნილოსიდან. და იყო სისხლი ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

22. იგივე იმოქმედეს ეგვიპტელმა გრძეულებმა თავიანთი ჯადოქრობით. გაუმძინებარდა გული ფაროს და არ უსმინა მათ, როგორც ელაპარაკებოდა უფალს.

23. უკუიქცა ფარო და მივიდა თავის სახლში. და არც ამან გარდაქნა მისი გული.

24. და მთელი ეგვიპტე თხრიდა ნილოსის ირგვლივ, სასმელი წყალი (რომ ეპოვათ), რამეთუ არ ძალუძდათ ნილოსის წყლის სმა.

25. უფლის მიერ ნილოსის წახდენის შემდეგ შესრულდა შვიდი დღე.

26. უთხრა უფალმა მოშეს: მიდი ფაროსთან და უთხარი მას, ასე თქვაო უფალმა: გაუშვი ჩემი ხალხი და მსახურებდეს მე.

27. და თუ უარობ შენ გაშვებას, აჰა, გომბეშობით გავემირავ მთელ შენს სახლერებს.

28. ნილოსი გამოაქვეწარმავლებს გომბეშობებს, ამოვლენ და შეესევან შენს სახლს, შენს საწოლ ოთახს, შენს სარეცელს, შენს მორჩილთა სახლებს, შენს ხალხს, შენს თონებსა და შენ ვარცლებს.

29. შემოგესევათ გომბეშობები და თავად შენ, შენს ხალხს და მთელ შენს მორჩილებს.

თავი მერვე

უთხრა უფალმა მოშეს: უთხრა აპარონს: გაიწვიე შენი ხელი შენი კვერთხითურთ მდინარეებზე, ნაკადულებზე, ტბებზე და ამოიყვანე გომბეშობები ეგვიპტის ქვეყნად.

2. გაიწვიდა აპარონმა თავისი ხელი ეგვიპტის წყლებზე და ამოვიდა გომბეშო და დაფარა ეგვიპტის ქვეყანა.

3. იგივე მოიმოქმედეს გრძეულებმა თავიანთი ჯადოქრობით: ამოიყვანეს გომბეშობები ეგვიპტის ქვეყნად.

4. იხმო ფარომ მოშე და აპარონი და უთხრა: შევედრეთ

შალომ დავიდი - დავითაშვილი - 70

შალომ, შალომ!

ძმაო, შალომ!

შორიდან ვესალმები ძვირფას შალომს, ორთავ სამშობლოს სასიქაღლო მამულიშვილს, რომლის წინაპართა მრავალი თაობა საქართველოში იბადებოდა, თავად კი ახლა, ჩვენს დღეებში, თავის სამოცდამათე წლისთავს ისრაელში ეგებება. რა არის სამოცდაათი წელი ადამიანისთვის? თუ ვინმესთვის სიბერეა, სამოცდაათი წლის შალომისთვის – სულისკაცისთვის – ორბის სიჭაბუკეა. სულს, სულიერ ინტერესებს, შემოქმედებას სიბერე არ ეკარება. არ ვიცი, ისევ ბრწყინავს თუ არა მის თავზე შავი თმა – სიჭაბუკის ნიშანი, მაგრამ მჯერა და ვხედავ, რომ იგი კვლავ ჭაბუკური შემართებით ეჭიდება თავის საყვარელ საქმეს – იქნება ეს ებრაულ-კაბალისტური ფილოსოფიის შტუდირება და მისი თარგმანები თუ თანახის თარგმან ქართულ ენაზე, რითაც იგი თუ, ერთი მხრივ, დაუვიწყარი რაბი იმანუელისა და ქართველ ებრაელთა წინაშე იხდის საღვთო ვალს, მეორე მხრივ, ისტორიული წვლილი შეაქვს ქართული სიტყვიერების განვითარებაში, რომელიც გრძელდება – დასასრული არ უჩანს. და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს ხდება იმ ძველ მიწაზე, რომელიც ჩვენ საერთო სამშობლოდ გვევლება. „ენას აქვს თავისი სული“, წერს ერთგან იგი. ეს სიტყვები ბევრს უგრძობია და გამოუთქვამს კიდევ, ვისაც ენის შემოქმედებასთან ჰქონია საქმე, მაგრამ შალომისთვის ისინი ეგზისტენციალურ საზრისს იძენენ. ორი ენის სული წიაღდება (ეს ნეოლოგიზმი მისი წვლილია ქართულ ენაში) შალომის, როგორც შემოქმედის, ეგზისტენციაში. ორი ენა უშენებს მას ერთ სახლს, ყოფიერების სახლს. ამ სახლში მე ვხედავ შალომ დავიდ-დავითაშვილის პიროვნებას, როგორც ერთი უნიკალური ისტორიული ფენომენის – ქართველი ებრაელობის – საუკეთესო განსახიერებას.

შორიდან ვხედავ მას, ხოლონის ქუჩებში მსუბუქად და ლაღად, წელთა მძლევარად მოარულს, რაღაც ძველი კეთილშობილური სიამაყით თავადმართულს, ელევანტურს, სულით არისტოკრატს – და შორიდანვე ვეხმანები:

შალომ, შალომ! მშვიდობა შენდა და სახლსა შენსა თაობითი თაობამდე!

ზურაბ კიძნაძე
პროფესორი
20.03.2010

ბატონო შალომ, გილოცავთ 70 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანობასა და მეცნიერულ შემოქმედებაში. საქართველოს ებრაელთა შორის თქვენ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ხართ თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობით. სამწუხაროდ, არ მქონდა საშუალება თვალი შევხეებინა თქვენი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მაგრამ ამ ხარვეზის შევსებას ნაწილობრივ მაინც ვახერხებ თქვენი ფუნდამენტური ნაშრომის – „ებრაელი ხალხის ისტორია“ – გაცნობით. ამ გამოკვლევაში ვხედავ შალომ დავიდს – ისტორიკოსს, ფილოსოფოსს, თეოლოგს და მხატვრული სიტყვის ოსტატს. ვიცნობ სხვადასხვა ავტორების, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ ნაშრომებს ქართველ ებრაელთა ისტორიაზე, მაგრამ თქვენი წიგნი სრულიად სხვაა, მასში წარმოდგენილი სრულიად განსხვავებული ხედვით, ფაქტების შერჩევით, მათი ორიგინალური გაზრებითა და დასკვნებით. ჩემთვის ის სამაგიდო წიგნია, რომელშიც ხშირად ვიხედავ. ეს ის წიგნია, რომელიც უნდა დაისწავლო.

ბატონო შალომ, კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ კაცურად გატარებული წლებისა და შემოქმედებითი ნაყოფიერებისათვის, გისურვებთ წარმატებებს.

ელდარ გამისტვალიაშვილი
გორის უნივერსიტეტის პროფესორი,
19. 03. 2010

არ დავიჯერე, როცა მითხრეს შალომ დავიდი 70 წლის შესრულდა!
უფრო ახალგაზრდა მეკონე!
ასეთი ენერჯით ისრაელისა და საქართველოს სიუვარულით აღვსილი კაცი, მარად ახალგაზრდა დარჩები!
არ დამავიწყდება ის დიდი საქმე, რასაც შენ აკეთებდი და აკეთებ ისრაელისა და საქართველოს მეგობრობის განსამტკიცებლად.
მინდა გისურვო ჯანმრთელობა, მხნეობა, სულის სიმშვიდე, ოჯახის სიხარული.

შენი **რეზა ბაჩხილაძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს უოფელი საცანგებო და სრულუფლებიანი ელზი ისრაელსა და სომხეთში.

საბჭოთა პერიოდში მხოლოდ მცირერიცხოვან საზოგადოებას შეეძლო ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება საზღვარგარეთ. მათ შორის უზარმაზარი წილი ისრაელში, საკუთარ სამშობლოში დაბრუნებულ, ქართველ ებრაელებს ჰქონდათ. თითქოს, ერთი შეხედვით, ქართველმა ებრაელებმა, სამშობლოში დაბრუნებით საკუთარი მისია შეასრულეს და რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი საქართველო ვეღარ უნდა ენახათ, მაგრამ ქართველ ებრაელთა სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ მათ საქართველოს დასანახად და შესაგრძნობად არ სჭირდებოდათ რკინის ფარდის მეორე მხარისთვის მზერის მიპყრობა, იმიტომ რომ საქართველო მათ თან წაიღეს. საქართველო იყო და დარჩა მათ ყოველდღიურობაში. ქართული დარჩა მათ მეტყველებაში, ვინაიდან საქართველო მათი სულების შემადგენელი ნაწილია. ალბათ, უფრო მონატრებული, უფრო სათუთი, ვიდრე ეს საქართველოში ცხოვრებისას იყო. მონატრებისა და სიყვარულის გრძნობის მუდმივად გაღვივება მხოლოდ ნიჭიერ, გულანთებულ, მწიფეობარ, თავდადებულ ადამიანებს შეეძლოთ. შალომ დავიდი ის დიდი ადამიანი და საზოგადო მოღვაწეა, რომელმაც თავისი, ბუნებით თავმდაბალი, მაგრამ ზეადამიანური შემოქმედებით, ქართველ ებრაელებს თორა სალოცავად, ხოლო ქართველებს კიდევ უფრო ღრმად გასაზრებლად – ქართულად მოგვცა! მისი ქართული, როგორც საქართველოშიც სანატრელი გვაქვს, ქართულის არმცოდნეობისა და განსაკუთრებულად მუსიკალურად ჟღერს! მის თავდადებას ქართველებისა და ებრაელების კიდევ უფრო შეკავშირების მიზნით, ასეულობით ნაწერი ვერ დაიტევს. შალომ დავიდი არის ებრაელებისა და ქართველების მეგობრობის ის ხიდი, რომელზედაც ამაყად ივლიან მომავალი თაობები.

ბატონო შალომ! თქვენ ხართ დაუშრეტელი და შეუჩერებელი ხმა კატაპონთან, რომელიც ასე ძლიერად გვეჭირდება დღესაც და მომავალშიც! მრავალჟამიერ დავმტკარავით თქვენი ბრწყინვალე შემოქმედებით! მრავალჟამიერ გიჭირდით კალამი! მრავალჟამიერ ჟღერდეს თქვენი სანატრელი ქართული ისრაელის წმინდა მიწაზე ორივე ერის საამაყო!

დიდი პატივისცემით და სიყვარულით, თქვენი

ლავა შვანიძე

მარტი, 2010 წელი

ებრაელი ერის ღირსეულ შვილს, მწერალს, მთარგმნელს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ შალომ დავიდს გვინდა მიულოცოთ საიუბილეო თარიღი, სიბრძნის ეს ჭეშმარიტი ასაკი.

პირველ აღიარებულ ისრაელში ასულ მის ოჯახს გაჰყვა დიდი სიყვარული, რაც შემდგომ მის მოღვაწეობაში გამოიკვეთა. საქართველოდან გამგზავრების წინ, მისი მცირეწლოვანი ვაჟი აიყვანა მეტეხზე, ვახტანგ გორგასლის ძეგლთან, გადმოახედა და უთქვამს: ვაჟკაცს ჩამოვიყვან და აქედან დაგანახებ თბილისსო. მაშინ, სამოცდაათიან წლებში, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ აქედან წასული ებრაელი როდისმე დაბრუნდებოდა საქართველოში.

ადამიანს მისი საქმეები წარმოაჩენს და ჩვენც გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, თუ რა წვლილი შეიტანა ბატონმა შალომმა იქ, ისრაელში, ქართული ენის მოვლა-პატრონობაში. იგი გახლავთ ისრაელში ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით გამოვიდა პირველი ქართული ჟურნალი, იყო ქართული გაზეთის, – „მოამბის“ რედაქტორი. შალომ დავიდი საქართველოდან წასულ ებრაელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. გამოსცა „ლიტერატურული აღმანახი“, სადაც ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი შინაარსის თეზა – „ებრაული ლიტერატურა ქართულ ენაზე შინაარსით უნდა იყოს ღრმად ებრაული, ხოლო ფორმით ქართული“.

შალომ დავიდის შემოქმედების გვირგვინი იყო ორი ფუნდამენტური წიგნი: ებრაულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ებრაული კანონიკური ლოცვათა კრებული დაფუნდებული ქართულ სასიძღვრო ინტონაციებზე სახელწოდებით „ყიმიანული“, რომელიც მიუძღვნა მამის, დიდი ყიმიანუელის ხსოვნას. „ყიმიანული“ ებრაულად ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“ და სწორედ ყიმიანულ დავითაშვილის წყალობით, თითქოს საქართველოში იყო ღმერთი, რადგან მის ლოცვაში ყოველთვის შედიოდა საქართველოსათვის და ქართველი ხალხისათვის ყოველდღიური ლოცვა. დღეს ისრაელში მისი სახელობის ქუჩა, სასულიერო ცენტრი და სალოცავი არსებობს და ჩვენ, ათიოდე წლის წინ, მოწმენი გახლდით იმისა, თუ რა სათუთად ვყვრებიან იქ მის სახელს. ნათქვამია: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხედავ. სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს შეხება. შალომ დავიდთან ისე ახლოს მივიდა ივრითი, რომ მის მიერ თარგმნილ მოსეს ხუთწიგნულს მეცნიერები საუკეთესოდ მიიჩნევენ. ეს გახლდათ დასტური იმისა, თუ როგორ უნდა ელოლიავებოდეს და უვლიდეს კაცი მშობლიურ ენას. ეს ღვთის წყალობით ბოძებული ნიჭია, შალომ დავიდმა ჩვენი კულტურის საგანძურს შემატა ხუთწიგნულის ქართული ბრწყინვალე თარგმანი.

შალომ დავიდი უაღრესად საინტერესო პიროვნებაა. მისი საუბარი ბიბლიის შესახებ გულში წვდება მსმენელს, მუხტავს და ადამიანის საუკეთესო თვისებების წინ წამოწევას ემსახურება.

ყველა სახელმწიფოს აქვს საზღვრები, მეგობრობა კი უსაზღვროა. ბატონო შალომ, შენი ქართველი მეგობრები გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს შენს ოჯახთან ერთად. მილოცვასთან ერთად მინდა გითხრა, რომ ჩვენი შეხვედრები საქართველოში, თუ წმინდა მიწაზე არ გვახვდებია, გვინდა გითხრა, რომ ჩვენ ყოველთვის დავრჩებით შენი ნიჭისა და კაცობის დამფასებლები.

მრავალჟამიერ!

თამაზ ყიფიანი – ისტორიკოსი, შპრნალისტი, ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის ნამღვილი წევრი

ალექსანდრე ნონეშვილი – ისტორიის მცოდნე, მკვლევარი, პროფესორი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ხელხვაკვიანი ენამზე

არა მგონია, იმ ქართველ ებრაელთა შორის, ვისთვისაც ძვირფასია სიტყვიერი კულტურა, ვინმეს გაუჭირდეს ამ სა-
თაურის მიხედვით გამოცნობა, რომ ლაპარაკია ბატონ შალომ დავიდზე. როცა ამ დიდებული პიროვნების რეგალიებს
ჩამოთვლიან ხოლმე, ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ იგი არის ისრაელის ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე,
მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი – ებრაული ფილოსოფიის მკვლევარი, რედაქტორ-გამომცემელი, მთარგმნელი, პროფესორი,
საქართველოს საპატიო მოქალაქე (თუ რაიმე გამოძრვა, იმედია, ბატონი შალომის მისთვის ესოდენ ნიშანდობლივი სულგრძ-
ელობით მაპატიებს). აი, ჩამოვთვალე და მინც ვივარდნი, რომ რაღაც განსაკუთრებული, მისთვის სისხლხორცეულად
დამახასიათებელი რამ დაეკელი, კარგა ხნით წერა შევწყვიტე და ... ვერკა, მგონი, მივაგენი აუცილებლად საჭირო
სიტყვას: მოაზროვნე. დიას, შალომ დავიდი ჩვენთვის, ქართველი ებრაელობისათვის, მოაზროვნეა. ამ ქართული ლექსიკური
ერთეულის შესატყვისად ივრითში ბრძნული გამოთქმა არსებობს (თვით ბატონ შალომს დავიდიმომეძღვი, ან კი არ არის
ივრითში ბრძნული) – “პოვე ღე’ოთ”, ალბათ, აზრთა მკვრობელს რომ იტყვიან, მიახლოებით ის არის.

სულ რამოდენიმე (დაბეჭდვისას არ შემშლია, სპეციალურად ვიხმარე ეს ფორმა) დღის წინათ შევიტყვე, რომ შალომ
დავიდი სამოცდაათი წლისა გამხდარა. ასეთ დროს მიღებულია ვთქვათ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს კაცი ამ ხნისა
გამხდარა და თვითონვე არ გვეყვარა ჩვენი ნათქვამისა. მაგრამ ამჯერად, სრულიად გულწრფელად მოგახსენებთ, ნამდ-
ვილად გამიჭირდა დაჯერება. თქვენ თვითონ ბრძანეთ, ვისაც ამ ბოლო ხანებში შალომის მგზნებარე გამოხვედები ან მისი
უმშვენიერესი, ჭეშმარიტად ახალგაზრდული ხმით შესრულებული გალობანი მოგისმენიათ, განა ჩემს დღეში არ ჩავარ-
დებოდით და არ გაგიძნელებდით დარწმუნება, რომ ეს ჭაბუკურად შემართული კაცი უკვე ადრე წელიწადს ატარებს
ზურგს? მართალია, მშვენიერი ლექს-სიმღერისა არ იყოს, „ნახევარი კიდე გასაველია“ და ამ ნახევარს, ნამდვილად
ვუსურვებთ, ამ სიმღერის გმირისაგან განსხვავებით, ბედნიერად, ჯანმრთელად და კვლავაც ხვალიერი მწერლობა-მეც-
ნიერებით ხელდაშვენილებული გაივლის ჩვენი შალომი, დღეს მინც „არ დაიჯეროს“-ს მღვთმარებაში გვაყენებს მთელი
მისი დაუმშვრალი მოღვაწეობა.

შალომ დავიდზე ბევრი დაწერილა (ჩემი ღრმა რწმენით, მეტსაც იმსახურებს) და კვლავაც დაიწერება, მაგრამ, რო-
გორც ჩანს, მე მინც რაღაც ორიგინალურის თქმა თუ მინდა, ერთ მხარეს უნდა შევეხო. ეს გახლავთ შალომის წერა-
გამოსვლების საოცარი სტილი. მთელი ჩემი ცხოვრება (თუნდაც თუ ვინმეს ჩემი ოცწლიანი სატელევიზიო ლექციები
ახსოვს საქართველოში) ჭარბ მალაფარდოვნებას ვებრძოდი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, როგორც სიბრძნესა და
სისულელეს შორის არის ერთი ნაბიჯი, ასევე ფრაზის სილამაზით გატაცებას, მშვენიერ-განსაკუთრებული სიტყვების ძიე-
ბასა და უგემოვნებას შორის; მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ შალომ დავიდი ამკარად დამარწმუნა, რომ არსებობს რაღაც
ოქროს კვეთი, რაღაც საზოგადო-შემოქმედებითი ზოლი, რომელსაც უნდა გაჰყვებოდა ყოველთვის სწორედ სილამაზის
ფარგლებში დარჩები და ვერ შეგეხება სხვა რამ. მისი სიტყვა ყოველთვის მოქნილია, მშვენიერი, ფრაზა თვით ყველაზე
ლამაზი სიტყვების მიგნების ფაშასაც კი მსუყე, დატვირთული და ნათელი. არ ვიცი, შეძელი თუ ვერა ჩემი აზრის ზუსტად
გადმოცემა, მაგრამ ღრმად კი ვარ დარწმუნებული, რომ შალომის მოღვაწეობა-შემოქმედების ესოდენ დიდ წარმატებასა და
პოპულარობას ისრაელსა თუ საქართველოში სწორედ ეს განსაკუთრებული ნიშანი განსაზღვრავს.

ამ მცირე მისაღმებაში ძნელია ჩამოვთვალო შალომ დავიდის მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა ნიშანსვეტი, თორის
და ჰაფტარების თარგმანები იქნება ეს, წმინდა წიგნების კომენტარები და ურთულესი თეოლოგიური საკითხების კვლევა,
თუ ასე შემდეგ, მრავალნი არიან საქმენი მისნი. მე იმის ხაზგასმამ მინდა, რომ მწამს, უამრავი რამ კიდევ წინ არის, შალომ
დავიდი კიდევ მრავალჯერ გავგაზარებს თავისი ნაკალმეებითა თუ შთამავგონებელი ორატორული ნიჭით.

ად მია ვეესრიმ, მხო შალომ!

პროფ. რეზენე ენოხი,
არიელის საუნივერსიტეტო ცენტრი შომონში და იერუსალიმის
ებრაული უნივერსიტეტის ტრუმენის სახ. ინსტიტუტი



ქართულ-ებრაული სიტყვიერების მებრუნე

ქართულ-ებრაულ სიტყვიერებაში შალომ დავიდი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი შემოქმედებით გა-
ფურჩქნის ხანა საქართველოში ცხოვრების წლებს რომ
დამთხვევად, მჯერა, ამ დიდებული მთარგმნელის პროფილი
განსაკუთრებულად წარმოინდებოდა და დაფასდებოდა, –
საქართველოში ხომ ჯერ კიდევ არ გამქრალა ჭეშმარიტი
ლიტერატურის პატივისცემა, კვლავაც იციან, თუ როგორ
მიავთ პატივი ნიჭიერებს. ამიტომ, არ დავმალავ, გულიც
კი მწყდება შემოქმედებითი ამაგის სახალხო
დაფასების ამ პროცესს გვერდი რომ აუარა.

მაგრამ, შექსპირის ერთი ფრაზის პერიფრაზს თუ გა-
ვაკეთებთ, შეგვიძლია ვთქვათ: ნიჭიერი კაცი რეპატრიაცი-
ის ურთულეს წლებშიც კი ნიჭიერია. ალიამ, ისრაელში
ცხოვრებამ იქნებ, კიდევ უფრო გამაზვილა შალომ დავი-
დის ტალანტი. ასე რომ არა, იგი ვერ გააკეთებდა იმდენ
კეთილშობილურ საქმეს, რაც მის ფიგურას ესოდენ მნიშ-
ვნელოვანს ხდის. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი – ის-
რაელის კულტურის სამინისტროში, პარტია „მაფდალში“,
თუ ქალაქის ვიცე-შერის პოსტზე, ყველაფერს მაინც ერთი
მიზანი ასხივოსნებდა – ქართველი ებრაელობის ინტეგრაცია
ისრაელთან, თუღაიზთან (საამისოდ ჟურნალსაც კი სცემდა
– „იუდაიზმის ხმა“) მათი ჭეშმარიტი დახლოება ებრაულ
კლასიკურ ლიტერატურასთან, იმ მარადიულ ღირებულე-
ბებთან, რომლითაც ეს ერი დიდი ცივილიზაციის წიაღში
ტრიალებს. ებრაული სიტყვიერების უზენაესი ნიმუშები –
ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობა ქართველი ებრაელობისათ-
ვის თითქოს ძალზე ახლოებული იყო, მაგრამ საკუთარ თავს
არ ვუტყდებით იმაში, რომ ექვსდღიან ომამდე, ე.ი. რეპატრია-
ციამდე, ეს სახლოვე იწერციით და აქედან გამომდინარე
ზედაპირულად ნასათადგოდა. არ იყო არსნი წვდომა.
ებრაული მხოლოდ სასულიერო პირებმა და თითო-ორილა
კაცმა თუ იცოდა, თარგმანი არ არსებობდა, იმით, რასაც
შაბათის დარაშებზე გვეუბნებოდნენ, არსში წვდომა, ტე-
ქსტების გენიალობის დანახვა, თითქმის შეუძლებელი გახ-
ლდა. რეპატრიაციის, ქართველი ებრაელობის ისტორიულ
სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სურათი, რასაკვირველია,
რადიკალურად შეიცვალა. ამ პროცესში შალომ დავიდის,
როგორც მთარგმნელის, დამსახურება განსაკუთრებულია.

შალომ დავიდი დიდი გზა გაიარა – პარტიული იერარ-
ქის კიბეზეც ვიღოდა. დღეს გადასახედოდან ჩინებულად
გამოჩნდა: პარტიული, ადმინისტრაციული საფეხურების

წარმატებული ავლაც ქართველი ებრაელობისათვის გამოიყ-
ენა – მის მიერ გამართული ერთობლივი სამეცნიერო კონ-
ფერენციები (საქართველოს მეცნიერებთან ერთად) რასაკ-
ვირველია, არა მხოლოდ ჩვენი ხალხის წარსულის შესწავ-
ლას მსახურებდა, თანამედროვეთა ღირსების წარმოჩენასაც.
ერთხელ შალომმა იმ სკვერში წამიყვანა, რომელსაც
სწორედ მისი ძალისხმევით დაერქვა სულმნათი შოთა
რუსთაველის სახელი, ყოველ კუთხე-კუნჭულს მათვა-
ლიერებინებდა და ცოტა მოგვიანებით, როცა ბ-ნ მერაბ
კოკონაშვილთან ერთად ვიღებდით ფილმს „იმ ეშქახეხ,
იერუსალიამ“ გადავწყვიტეთ, სწორედ აქ გადაგველო შა-
ლომ დავიდის მონაკვეთი. აი, აქ – შოთა რუსთაველის
სახელობის სკვერში, თქვა მან ფრაზა, რომელიც მე ძალიან
მნიშვნელოვნად მიამჩნია და არც არასოდეს დამავიწყდება:

– როცა ისრაელში მოვიდი, მეუბნებოდნენ: სად მიდიხ-
ართ, იქ ხომ უდაბნოა, ხრიოკია. მე ვპასუხობდი: სწორედ
იმიტომ მივიღე, რომ უდაბნო წაღკოტად ვაქციოთ.

მას ძლიერ უყვარს ისრაელი, უყვარს და მის ყოველდი-
ურობას ემსახურება. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ
სურვილი ამხდარიყო. მან შექქმნა წაღკოტი ჩინებული
თარგმანებისა.

მას ძლიერ უყვარს საქართველო და ამის დასტურია მისი
მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან დიდებული თარგმანებით
გამდიდრა ქართული სიტყვიერება. პირველ რიგში დავა-
სახელებდი „ძველი აღთქმის“ მაღალ დონეზე შესრულებულ
თარგმანს. შალომს არ უზრუნვია თავის თარგმანის პოპ-
ულარიზაციისათვის, არ მოუწყვია ღონისძიებები პრეზენ-
ტაციებს რომ ეახიან, მაგრამ ხუთწიგნეულის მისეულმა
თარგმანმა მაინც ის ადგილი დაიკავა ჩვენს ცხოვრებაში,
რომელიც უნდა დაეკავებინა. როცა მსოფლიოს ამა თუ
იმ ქვეყანაში ქართველ ებრაელთა ბეით-ქნესტებში სეფერ
თორის მომალეებისთანავე თანახის შალომ დავიდისეულ
თარგმანს გადავლიან (მე ეს მინახავს მოსკოვსა თუ ნიუ-
იორკში, ანტვერპენსა თუ ვენაში, ქუთაისსა თუ თბილისში),
ეს მისი დიდი გამარჯვებაა – ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხმა
თარგმანი მიიღო, გაითავისა, წიგნსა და მათ შორის ის
კავშირი დამყარდა, რომელსაც ვერა-რა ღონისძიებით ვერ
მიადწევ.

მთარგმნელის თავიდათავი ღირსება სიტყვის გრძობაა,
სიტყვის, ფრაზის ისე განცდა და სათარგმნელ ენაზე ისე
გადმოტანა, რომ მკითხველმა დედნის სურნელი იგრძნოს.

შალომ დავიდი დედნის ერთგულია, მის გრძობათა ბუნე-
ბას ინარჩუნებს. იმ ლიტერატურის სხვაგვარად თარგმნა,
რომელსაც შალომ დავიდი თარგმნის, წარმოუდგენელიცაა.
მაგრამ, აქ საგულისხმოა ერთი გარემოება: ხომ ასე სკრუ-
პულოზურად იცავს დედნის ინტონაციას, აზრს, სიტყვათა
ქსოვილის თავისებურებას, თავის – მთარგმნელის – ნატიფ
ხელოვნებასაც წარმოაჩენს. ეს ხელოვნება კი უწინარესად,
სიტყვის, ფრაზის განცდა, მიგნება-აღმოჩენაა. ყოველ შაბათს
კვითხულოდ საკვირაო თავს, შალომის მიერ ქართულად
თარგმნილს, მაგრამ ზოგჯერ, როცა ფრაზა განსაკუთრებით
მომეწონება, დედნის სვეტისკენ ვაპარებ თვალს, ივრითის
ჩემი ცოდნის დონე, ალბათ, შეუმცდარობის უფლებას არ
მამღვეს, მაგრამ არსებობს ლექსიკონები, არსებობს სხვა
თარგმანები და ბოლოს ერთადერთ სწორ ვარიანტად მაინც
შალომისეული სიტყვა, ფრაზა რჩება.

ამ წერილის წერისას მინდოდა შალომისეული თარგ-
მანებიდან, იქნებოდა ეს თანახი, შირ ჰა შირიმი, ესთერის
გრაგნილი, თუ სხვა, სწორედ ეს მაღალი პოეტურობით
აღბეჭდილი სტრიქონები ამომეწერა, მაგრამ მივხვდი, რომ
ეს არ შეიძლებოდა, რადგან დიდძალი ტექსტის გადმოწერა
მომიწევდა.

იმის გამო, რომ შალომ დავიდი არის დიდებული
მთარგმნელი, მას მიანიჭეს სულხან-საბა ორბელიანის სახ.
უნივერსიტეტის საპატიო უცხოელი პროფესორის წოდება.
იმის გამო, რომ შალომ დავიდი არის დიდებული მთარგმ-
ნელი და კლასიკური ებრაული მემკვიდრეობის ქართულ
ენაზე თარგმანებით დიდი წვლილი შეიტანა ქართული
მთარგმნელობითი კულტურის განვითარებაში, მას მიენიჭა
საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

იმის გამო, რომ შალომ დავიდი არის პიროვნება,
რომელსაც დიდ პატივს სცემს ისრაელის ქართველი ებრა-
ელობა, არასოდეს დაჰკლებია, მისი ყურადღება – როცა სა-
მისო სურვილი ჰქონდა, ყოველთვის წარმოადგენილი იყო
ხულონის მუნიციპალიტეტში.

იმის გამო, რომ შალომ დავიდი მთელი თავისი შემო-
ქმედებით ცხოვრება მიუძღვნა ქართველი ებრაელობის
ღირსების ამალეების საქმეს და მას კვლავაც ბევრი აქვს
გასაკეთებელი, ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს – მისი
სიცოცხლე ქართველ ებრაელობას სჭირდება.

ბურამ ბათიაშვილი

საფრანგეთში განმტკიცებული ქართულ-აზრათული სულიერი ერთობა

(ოსებ ელიგულაშვილის მოღვაწეობა)



ოსებ ელიგულაშვილი საქართველოს მოღვაწეთა იმ პლეადის წარმომადგენელია, რომელთა სახელები მჭიდროდაა დაკავშირებული პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიასთან (1917-1920 წ.წ.).

მისი თანამედროვენი ოსებს ასე ასახაიანებენ: „კაცი განათლებული, ქვერეოელი და საქმიანი, გამორჩეული განსაკუთრებული ნიჭით, იშვიათი ქართველი ებრაელი, თავაზიანი, ყველაზე ერთგული, მცოდნე და დაკისრებულ მოვალეობათა პატიოსანი შემსრულებელი“.

ასეთი დახასიათების შემდეგ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, ქართული ეროვნული განძის საფრანგეთში გატანის და შენახვის საქმე ოსებ ელიგულაშვილის ანდო, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად.

ორი ათეული წლის განმავლობაში ეს ორი პიროვნება თავდაუზოგავად, უდიდესი შრომის და ბრძოლის ფასად სათუთად ინახავდა განძს და არათუ აკლავდა, არამედ ავსებდა მსოფლიოში მიმობრუნული და სხვადასხვა ვითარებაში გატანილი ეროვნული განძეულობის ნიმუშებით.

ოსებ ელიგულაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს, ამიტომ გადავწყვიტეთ მისი პიროვნება უფრო თვალსაჩინო გავხადოთ.

ოსებ ელიგულაშვილი (1890-1952 წ.წ.) დაიბადა და აღიზარდა ქუთაისში ქართველი ებრაელის არონ ელიგულაშვილის ოჯახში,

რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ქუთაისის პირველი ვილდის ვაჭარი და ცნობილი ქველმოქმედი გახლდათ.

ოსებმა ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და აქტიურად ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც იგი დააპატიმრეს.

1916 წელს, ოსებმა, მოსკოვის კომერციული ინსტიტუტი დაამთავრა და მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტში დარჩენა შესთავაზეს, უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში და მალე მისი ცენტრალური ფიგურა გახდა.

პირველი დემოკრატიული მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა, ოსები, თავის მოადგილედ დანიშნა, როგორც უაღრესად ნიჭიერი და აქტიური პიროვნება.

სწორედ ამ დროიდან იწყება ოსებ ელიგულაშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა ნახევრად დანგრეული საქართველოს თითქმის განადგურებული სახალხო მურყნობის აღსადგენად. იგი მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციებში: საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და პოლონეთში. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით საქართველომ განამტკიცა სამურყნო კავშირები უცხოეთთან, მოიზიდა უცხოური კაპიტალი.

უცხოურ და ადგილობრივ პრესაში იბეჭდებოდა მისი სტატიები სოციალ-ეკონომიკურ საკითხებზე.

1919 წელს, ოსებ ელიგულაშვილი, როგორც დამუშავებული კრების წევრი, მთავრობის დავალებით, თან ახლდა საქართველოში მოგზაურ II ინტერნაციონალის ცნობილ ბელადებს: კაუცკის, მაკდონალდს, შეინმალს, ვანდელვედესს, სნოუდენს და სხვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერს სამი ებრაელი – ოსებ ელიგულაშვილი, მომე დაგარაშვილი და ილია გოლდმანი.

ოსებ ელიგულაშვილი იყო ქართული ეროვნული საბჭოს წევრი, უცხოეთში გადახვეწილ ქართველ ებრაელთა ასოციაციის თავმჯდომარე და სხვა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი.

ემბერგაჟი ოსებ ელიგულაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის დასტურად მოვიყვანო საგულისხმო ფაქტს:

II მსოფლიო ომის მდინარე დღეებში, ნოე ჟორდანიამ დიდსულოვანი თანადგომა გამოხატა ქართველ ებრაელთა მიმართ მის მიერ თანამაზრებთან ერთად გატარებული ღონისძიებების შედეგად, საფრანგეთის ოკუპაციის წლებში, ფაშისძის რისხვას, ფაქტობრივად უვნებლად გადაურჩა არა მარტო მრავალი ქართველი ებრაელი, არამედ სხვა ქვეყნებიდან ემიგრირებული ებრაელებიც.

ნოე ჟორდანიამ და მისმა ვაჟებმა ოსებ ელიგულაშვილს

შესთავაზეს „ებრაელთა ხსნის გეგმა“, რაც გამოისატებოდა ებრაული გვარებისათვის ქართული გვართწარმოებისათვის დამანასიათებელი დაბოლოებების - „ქე“ და „შვილი“-ს დართვამი. სწორედ ამ ღონისძიებების წარმატებით განხორციელების შემდგომ იქცა რაბინოვნი რობინაშვილად, გუბერნიცკი – გუბერნიძედ და სხვა. ამ ხერხით იხსნეს ქართველმა უდიდესმა ჰუმანისტებმა და პატრიოტებმა ასობით ქართველი და არაქართველი ებრაელის სიცოცხლე ფაშისტთა კლანჭებიდან.

არ შეიძლება აღვუვლით ვაიკითხო ოსების საპასუხო სამადლობლო სიტყვები: „ბევრი ქართველი დავკვხმარა ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებ, მაგრამ ყველაზე მეტად ის ქართველი დავკვხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება“.

საარქივო დოკუმენტები და იმდროინდელი მენშევიკური პრესა საგვსა ოსებ ელიგულაშვილის მიერ ნამოქმედარი კეთილი საქმეების ამსახველი მასალებით. ემიგრაციის პირობებში იგი საკუთარი სახსრებით იძენდა საეკლესიო ნივთებს, განმეულობას და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებს.

ოსებ ელიგულაშვილმა დიდი როლი შეასრულა საფრანგეთში ქართველთა საცხოვრისის – ლევილის მამულის შექმნაში.

ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს ოსებ ელიგულაშვილის ღვაწლს, რომელიც სრულიად უანგაროდ ედგა მხარში საფრანგეთის ქართველობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მეგობრობა საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესთან, დიდ ქართველ მამულიშვილთან ექვთიმე თაყაიშვილთან. მათ ერთად გადალახეს ყველა სიძულე და განსაცდელი, უდიდესი რულენებით უპატრონეს საქართველოს ეროვნულ განძს და უკლებლივ დაუბრუნეს მილიონობით ღირსეული ქონება დედა-სამშობლოს.

ექვთიმე თაყაიშვილის კულტურულ-სამეცნიერო ცენტრი, ფაშისძის მეცნიერებათა და კულტურის აკადემია, სახალხო (სამოქალაქო) დიპლომატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პალატა საგანგებოდ სწავლობს და კვლავაც აგრძელებს მასალების მოძიებას ელიგულაშვილთა დიდებული გვარის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა ხომ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმ მრავალსაუკუნოვანი უზალო მეგობრობისა, რომელიც ავერ უკვე 26 საუკუნეს ითვლის და დღევანდელი მსოფლიოსთვის უდავოდ გამოდგება ეტალონად.

• კერძოდ გაზეთები: „ელვა“, „ლაშაბი“, „ტალა“, „წინ“, „ლახვარი“, „დილა“, „ჩვენი სიტყვა“, „წყარო“, „ციხარტყლა“, „აზრი“, „დასაწყისი“, „კვალი“, „ჩვენი საქმე“, „ალი“, „ჩანგი“, „მო-მაგალი“, „ჩვენი ვაზეთი“, „ახალი გზა“, „საქმე“, „სიმართლის ხმა“, „თანამედროვე ქვეყანა“ და სხვ.

ნელი ჩაფიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილის კულტურის სამეცნიერო საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე

ქალთა დღესასწაული

18 მარტს ებრაულ სათემო სახლში ქალთა შეხვედრა გაიმართა. ეს ღონისძიება წლების მანძილზე ტარდება, სწორედ მარტის თვეში, თუმცა ადრე ამ ღონისძიებას ებრაულ და ქართველ ქალთა შეხვედრა ეწოდებოდა. სახელწოდების ცვლილება ღონისძიებაზე მობრძენებულმა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ქალბატონმა გამოიწვია. აქ იმყოფებოდნენ საქართველოში მოღვაწე – ოსი, პოლონელი, ბულგარელი ქალბატონები.

ღონისძიებაზე არაერთმა ლამაზმა და საინტერესო ქალბატონმა მიიყარა თავი. სხვადასხვა ებრაული და არაებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოეტები, მუსიკოსები, მეცნიერები, მომღერლები და სხვა. საპატიო სტუმრებს შორის ქალბატონი რუსუდან კერავლიშვილი იმყოფებოდა.

პირველი ნაწილი დაეთმო ერთ-ერთ ნიჭიერ, ისრაელსა და ებრაელებზე შეგვარებულ პოეტ ქალბატონს – ეკა ბაქრაძეს. სულ ახლახანს, კინოს სახლში, გაიმართა მისი ახალი წიგნის



„დამრუნება საკუთარ თავთან“ პრეზენტაცია, რომელიც ეკა ბაქრაძემ 3 წლის შვილს – გიორგის მოუძღვნა.

ეკა ბაქრაძემ გაიხსენა ისრაელში პირველი სტუმრობა, კლუბ „26 საუკუნეში“ მისვლა, ქართულ-ებრაულ ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ღედას ლექსი მისმა სამი წლის ვაჟმა – გიორგიმაც წაიკითხა, რამაც დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია. პატარა გიორგი მერე გულისყურით უსმენდა ღედის გამოხვლას.

არაერთი თბილი და ლამაზი შეფასება ეკას შემოქმედებაზე, მის პიროვნებაზე, პქართულ ებრაულ ურთიერთობებზე და მეგობრობაზე გააკეთეს ღონისძიებაზე მობრძენებულმა ქალბატონებმა – შხა ხეთაგურმა, მანანა დანგაძემ, ლინა ბარათაშვილმა და მანანა თუმანიძემ.

ქი რუსუდან კერავლიშვილი:

– პირველ რიგში მოვესალმებოთ და მინდა აღვნიშნო, რომ ეკა ბაქრაძე და მისი შემოქმედება მშვენიერი და ყველასთვის საინტერესოა.

ღედეს კიდევ ერთხელ ებრაელმა ქალბატონებმა მოგვიწყეთ ეს საოცარი დღესასწაული. მე ეს არ მიკვირს, რადგან ჩვენს ტრადიციებს, მუიბას და ქართველობას თქვენ უკეთესად ინახავთ. მე შემძლია ერთი რამ ვითხრათ: არ არის მართალი, რომ საქართველოს ნათესავი ერი არ ჰყავს. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ისრაელში და ვისაც თუნდაც მეზობელი ან გვერდით მყოფი ებრაელი ჰყოლია, იცის, რომ ჩვენი კერა მათთან ინახება.

მინდა ეკას გადავუხადო მადლობა მისი საოცარი შემოქმედებისათვის, ასევე დიდი მადლობა ქალბატონ ზაირას, რომელმაც აქ მომიწვია და რომელიც ამ ღონისძიებას ხელმძღვანელობს.

ვუსურვებ ჩვენს სამშობლოებს მშვიდობას და აყვავებას. ისრაელის კონსული საქართველოში ქი მახლ კალი:

– უპირველეს ყოვლისა მოვესალმებოთ. მე ხვდავ აქ ძალიან ბევრ ნიჭიერ ადამიანს და თითოეული მათგანი განსაკუთრებული სიტყვის ღირსია.

მინდა დღევანდელი დღე, რომელიც შეგვიძლია გავათანადოთ ქალთა დღესთან, მოვილოცოთ და ვისურვოთ წარმატებები, წინსვლა.

ქანა მარინა კოლხიდაშვილმა – მრავალშვილიანმა დედამ რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

საქართველოს სახელწმიო კავალში მოღვაწე ვაზა ხეიამ და მე-10 სკოლის მუსიკოს-პედაგოგმა კარენ მირზოიანმა შეასრულეს რამდენიმე სიმღერა და კომპოზიცია.

ზ. დავარაშვილმა „ებრაულ სამყაროს“ ერთი წლის შესრულება მოულოცა ამ ჟურნალის რედაქტორს ქნ ეთერ თოფჩიაშვილ-გოგინეიშვილს.

ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრის დირექტორის ქნ ნანა ოსებაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული და მისი განმახორციელებელი - ქეთინო გველეხიანის პროექტის „საკუთარი ხელებით“ ნამუშევრებს დარბაზის შემოსასვლელში შეხვდებოდათ, რომლის გამოფენა-გაყიდვაც შედგა. სწორედ ეს ნაკეთობები გადაეცა საჩუქრად იქ მყოფ ზოგიერთ ქალბატონს და აგრეთვე შესვედრის ბოლოს ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულებს.

დაბადების დღე მოულოცეს „26 საუკუნე“-ის მთავარ რედაქტორს ბატონ გაბრიელ ნამთალაშვილს, აგრეთვე 46 წლის ქორწინება მოულოცეს ბატონ რამინ აკობაშვილს და მის მშვენიერ მეუღლეს ქალბატონ ვსულიეტას. უფროსმა შვილიშვილებმა აჭერიკამი კალენდარი გამოსცეს, სდაც თავად იყენებ გადაღებულები და ბებია-ბაბუის 46 წლის ქორწინების თუბილესაც უსაჩუქრეს.

სიტყვით და მითოლოგიაზე საინტერესო ანალიზით გამოვიდა ნინ-სევეროს აკადემიის პროფესორი ქნი ნაზი ხანიაშვილი.

ხსოვნის გვერდზე წარმოდგენილი გახლდათ ქნი ზინა ბოტოშვილი-დათიკაშვილისა. ქნი ზინას შვილიშვილებმა დალი დათიკაშვილმა, ბებუის რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

თავისი შემოქმედება ებრაულ სახლში შეკრებილებს, ქანა ნინო ქიქოსაძემ გააცნო.

ერთ-ერთი სტუმარი ამ ღონისძიებისა გახლდათ ია ხახუბა. მან შეკრებილი თავისი მონოგრაფია წარმოუდგინა, რომელიც ებრაელთა ქორწინებასა და განქორწინებას ეხება.

ღედესი წაიკითხეს მედიკო ვანაშვილმა, ქეთი დოლიძემ.

რამდენიმე რომანსი შეასრულა ქანა ნაზი სარჯველაძემ და მისმა კონცერტმისტერმა ქანა თინათინ ნონაშვილმა.

სალამო ლამაზი ქალბატონის – მედეა მჭვლიძე-შვილის გამოხვლით დასრულდა.

რას ვპირობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



ს ა კ

კვირის საკითხავი თავი „ცაგ“ ძირითადად ქოენებისადმი მიმართავს და მათი გაძარში მსახურების აღწერას. სიგყვა ცაგ ნიშნავს „მცნება და დედა“ (ამცნე) და უღვივებს მას განსაკუთრებულ სიბრძნით, რადგანაც ამ თავის დასაწყისში საუბარია თემის შესაწირავზე „ოლა“ – სრულად დასაწყვილი. ყოველ დღით გაძარში პირველი შესაწირი იყო კრავი ოლას სახით. მეორე კრავს სწირავდნენ შუალის შემდეგ ასევე ოლას სახით. დღეს, როცა გაძარი არ გვაქვს, ამ ორ მსხვერპლს შეესაბამება ორი ლოცვა შახარიგი – დღის ლოცვა და მინხა – დღის ლოცვა. ამიგომ სწორედ ამ შესაწირავზე – ოლა მიუთითებს განსაკუთრებული სიბრძნითის გამღვივებელი სიგყვა „ცაგ“. საქმე იმაშია, რომ როცა მცნების შესრულება ფულის ხარჯვასთანაა დაკავშირებული, ადამიანებს არა აქვს მისი შესრულების სიმკაცისაკენ მიდრეკილება და ამიგომ მათ სჭირდებათ განსაკუთრებული გამხსნელება. თუმცა ქოენები არაფერს კარგავდნენ ამ მსხვერპლის შეწირვისას, მათ მაინც სჭირდებოდათ განსაკუთრებული წახალისება. მათ ხომ ამ მსხვერპლის შეწირვიდან არაფერი არ რჩებოდათ საქონლის გყავის გარდა.

ერთხელ, შიმშილობის წუღიანი იყო და მეფე მუხამარმა (გერმა) გახსნა თავისი საჭურჭლე და უხვად დაურიგა ძვირფასეულობა ხალხს. მისი ოჯახის წევრები განცვიფრდნენ: „შენი მამა-პაპა მთელი ცხოვრების განმავლობაში აგროვებდა ამ ძვირფასეულობას, შენ კი სულ ღარიბებს დაურიგე“. ამამე მეფემ უპასუხა: „ჩემმა მამა-პაპამ განძი დედამიწაზე მოაგროვა, მე კი – მეცამო. ჩემმა მამა-პაპამ ის არასამიწოდ შეინახა, მე კი ახლა საიმედო

ხელში გადავიცი, ჩემი მამა-პაპა მას ინახავდა და არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა, მე კი ის მომგებიანად დავაბანდე. ჩემმა მამა-პაპამ სიმდიდრე ფულის სახით შეიძინა, მე კი – ადამიანთა სულების სახით. ჩემი მამა-პაპანი სხვებისათვის აგროვებდნენ სიმდიდრეს, მე კი – ჩემთვის. ჩემი მამები ამ ქვეყანაში აგროვებდნენ განძს, მე კი – მომავალ ქვეყანაში.

აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კეთილ საქმეებზე დახარჯული ფული ნიშნავს სამარადიამო ძვირფასეულობის შექმნას.

ქოენებს კიდევ ერთი განსაკუთრებული მცნება ჰქონდათ – მათ შემის ორი ნაჭერი უნდა დაემატებინათ დიდი მგინისათვის დღეში ორჯერ: დღისა და ღამის შესაწირისათვის „ოლა“. სინამდვილეში ამის საჭიროება არ იყო, რადგანაც სამსხვერპლოზე მუდმივად იყო გეციური ცეცხლი, მიუხედავად ამისა, გამჩენმა ქოენებს უბრძანა ცეცხლის მუდმივი განახლება, რადგანაც არსებობს წესი – არ ვიყოთ სასწაულის (გეციური ცეცხლის) იმედზე და რომ ამ მიცვას მოყვებოდა ებრაელი ხალხის კურთხევა.

სამსხვერპლოს გეციურ ცეცხლს კი ხუთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა:

- 1. მისი ფორმა ღმრს მოგვაგონებდა. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ ეჩვენებინათ ხალხისათვის შეხინის (გეციური თანდასწრების) არსებობა გაძარში.
2. მას ჰქონდა მზის სიკაშკაშე.
3. მისი ალი ისეთი მყარი იყო, რომ ქარი ვერაფერს აუღებდა და წვიმა ვერ აქრობდა, თუმცა სამსხვერპლო ღია ცის ქვეშ იდგა.
4. ამ ალში იწვოდა არა მარტო ნივთიერებები, არამედ სითხეებიც.
5. ის არასოდეს ბოლავდა.

მაგრამ ეს კიდევ სრული სია არაა. მისი ძლიერი სიკე არ სწავდა სამსხვერპლოს საფარველს, ქოენებს ფეხები არ ეწვებოდათ, როცა ისინი ფეხშიშველები დადიოდნენ სამსხვერპლოზე.

ქოენი გადოლი (მთავარი ქოენი) ორჯერ დღეში საკუთარი ძალეებით სწირავდა მინხას – ფეხილის მსხვერპლს და სწვ ავდა სამსხვერპლოზე. რაგომ ვკითხვდა ის ამას? ჯერ ერთი, ჩვენი ბრძენები გვასწავლიან: „ჯერ თავად მოითხოვე, შემდეგ სხვებზე გადადი“. ეს გვასწავლის, რომ მანამ, სანამ სხვას უსაყველურებ, შენი თვისებები გამოასწორე. თუ ვინმე იმავე ცოდვას სწავლის, რაზედაც სხვას საყველურობს, ის მას არ მოუსმენს. რაბა ბარს უნას რაბინს მდინარის ნაპირზე გყე ჰქონდა გაშენებული. ბრძენებმა უთხრეს მას: „მოჭერა იყვალა ხე ისე, რომ გემებს შეეძლოთ ლეზაზე დადგომა.“ რაგომ მეუბნებიან ამას მე? – გააპროტესტა მან – „ჩემი გყის მარჯვნივ და მარცხნივ გყე ჩემს მებობელს ეკუთვნის. მასაც არ მოუჭრია არც ერთი ხე.“ ბრძენებმა უთხრეს: „ჯერ შენ მოითხოვე (ანუ ჯერ შენი შეცდომები გამოასწორე) და შემდეგ მორთე სხვები(მითითე სხვას).“ მუსგად ასევე იყო ქოენი გადოლი, ჯერ თავად უნდა განწმენდილიყო და შემდეგ გამოეყვინა ხალხის ცოდვები. ამიგომ საკუთარი

ცოდვების გამოსასყიდად მას ყოველდღიურად უნდა მიეგანა მსხვერპლი. მისი მსხვერპლითმწივრება დამნაშავეებს მაგალითის აძლევდა და დააფიქრებდა, რათა მოენანიებინათ ცოდვები და განწმენდილიყვნენ. როდესაც ისინი ხელავდნენ, რომ თავად ქოენი გადოლი სწირავდა მსხვერპლს საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად, მათ უაღვიღებლად საკუთარი ცოდვების აღიარება. კიდევ, მთავარი ქოენი სწირავდა ძალიან უბრალო მსხვერპლს – ფეხილსა და გეთს. ასეთი მსხვერპლი ჩვეულებრივ ყველაზე ღარიბებს მოჰქონდათ. ეს მათი საშუალებას აძლევდა არ ეგრძობთ თავი დამცირებულად, მათი მსხვერპლი ქოენი გადოლის მსხვერპლის რაოდენობის გოლი იყო.

კვირის საკითხავი თავში „ცაგ“ ასევე აღწერილია მსხვერპლის განსაკუთრებული სახეობა – „შლაიმ“ (სამშვიდობო) – „შალმეი თოლა“ (სამადლობელი ძვენი) – ის აუცილებელი იყო თითოეული იმ ებრაელისათვის, რომელიც გადაურჩა სერიოზულ საფრთხეს. ამ მსხვერპლს ებრაელები სწირავდნენ შემდეგ შემთხვევებში: ციხიდან განთავისუფლებისას, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ზღაპრულ მოგზაურობის შემდეგ, უდაბნოდან მშვიდობით დაბრუნების შემდეგ, ჩვენს დროში ასეთი გამოცდის შემდეგ ებრაელი ადის თებამე თორის კითხვის დღეს და წარმოსთქვამენ „ბირქით ჰაგომელ“-ს: „კურთხეული ხარ შენ გამჩენო, სამყაროს მეუფეო, რომელიც სწავლობს მათ, ვინც შესცოდა და უხლი მათ მხოლოდ სვეითი (სამაგიეროს).“ რამია ადამიანის ბრალი? გვიხსნიან, რომ თუ ადამიანი საშინო სიგუციაში აღმოჩნდა (როცა საგანას საშუალება ეძლევა დაადანაშაულოს ის), ესე იგი რაღაცით შესცოდა გამჩენის წინაშე და ამიგომ მადლობა უნდა გადაუხადოს გამჩენს, რომ მშვიდობით გამოვიდა ამ სიგუციაშიდან.

საინგერესოა, რომ თბილისის სინაგოგაში მიღებული იყო, თუ ადამიანი დიდი ხანი არ დადიოდა ან იშვიათად შედიოდა სინაგოგაში, მოხუცები მას „ბირქით ჰაგომელის“ წავითხვას სთხოვდნენ. მე მათ ვედავებოდი და ვუხსნიდი, რომ ამ კურთხევას ასე ავიღებდი არ წარმოსთქვამენ, რომ ამისათვის საჭიროა ოთხი პირობა. ერთმა მითხრა: „ის ერთი წელი არ ყოფილა სინაგოგაში, ვფიქრობ, რომ ამ ოთხი პირობიდან არც ერთი არ შემთხვევია?“ (თუ ამ შემთხვევითაგან დიდი პერიოდი გასული, უკვე აღარ კითხულობენ კურთხევას). მეორემ მითხრა: „თუ ადამიანი ერთი წლის განმავლობაში სინაგოგაში არ შესულა და მას არაფერი შემთხვევია, უნდა წავითხოს ეს კურთხევა, ის ხომ ასეთ საშინო სიგუციაში იყო.“ ხელავთ რა უმინდა ჩვენი ხალხი, უბრალო ხალხი რა ღრმად უფიქრდება ყველფერს. მე დავფიქრდი და მიხვდი, რომ ის მართალია, მაგრამ კურთხევა მაინც არ გავუშვი, გამჩენის, კურთხეულ იქნას, სახელის გყუღებულად წარმოთქმა ხომ დიდი ცოდვაა.

ჩვენ კი უნდა ვეცადოთ რომ ჩვენი მისწრაფებები ყოველთვის გამჩენის სახელით წარმართოთ.

თემურ ყვითელაშვილი ებრაულ სახლში მონაწილეობდა მსხვერპლის აღსრულებას და მისი სხელები და მისი ხელოვნება დიდ სათქმელს აშობს.

4 მარტს თბილისის ებრაულ სათემო სახლში მოეწყო შეხვედრა ცნობილ ვირტუოზთან, მსოფლიოში აღიარებულ გიტარისტი-თან – თემურ ყვითელაშვილთან.

სალამო ყველასთვის საყვარელი „იანანი“ დაიწყო. წამყვანმა ზ. დაგარაშვილმა 3 მარტი – დღის დღე მოულოცა მობრძანებულთ და აუწყა, რომ ამ შეხვედრას და დღეს ამ დარბაზში გაუღებულ ნაწარმოებს, თემურ ყვითელაშვილი ძვირფასი დედის – ქალბატონ ცილა ყვითელაშვილის ხსოვნას უძღვნიდა.

თემურ ყვითელაშვილი: – მოგესალმებით. ჩემთვის უდიდესი პატივია თქვენთან შეხვედრა. ყოველთვის სიამოვნებით მოდივარ ამ შესანიშნავ დაწესებულებაში, იმიტომ რომ ვგრძობ სითბოს, სიყვარულს და პატივისცემას. მინდა ვითხრა, რომ მე ყველგან არ დავდივარ, ისევე როგორც ჩემთან არ მოდის ყველა. დღეს განსაკუთრებული შემთხვევაა და დღევანდელი დღე ცოტა სევდიანი იქნება, რადგან დღევანდელ საღამო ეძღვნება დედაჩემის ხსოვნას. მე შევარჩე ისეთი კომპოზიციები, რომლებიც უყვარდა დედას და რა თქმა უნდა, თქვენც კარგად იცით.

თემურ ყვითელაშვილი შეასრულა: „მოხუცი ფოსტალიონის სიმღერა“, „როდესაც გიცქერ“, „მინდღერი“, „უცვრტურა ოპერიდან“, „დაისი“, „პავა ნავილა“, „ჩარდაში“, „ჯანაია“, „შემოდგომის ყვავილებს“, „დაწმენილი გული“, „პოპური“.

რა თქმა უნდა სიტყვით გამოხვლის სურვილი ბევრს ჰქონდა, ყველას სურდა რაღაც თავისი, თბილი და საამაყო ეთქვა თემურს ყვითელაშვილზე.

თამარ მახარაშვილი: – მე ძალიან მიყვარს თემური და ეს თვითონაც კარგად იცის. მე მგონი, საერთოდ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ჰქონია მასთან შეხება და იგივე გრძობა არ დაეუფლა ამ ადამიანის მიმართ. მე მაინც მაინტერესებს ოჯახმა თუ იცის, ნეტავ, ბოლომდე ვინ ჰყავს და საქართველომ თუ იცის, როგორი ერის შვილი ჰყავს. ვფიქრობ, ბოლომდე არ არის ეს გათვითცნობიერებული იმ სიმდიდრით, როგორსაც თემური იმსახურებს. თუმცა, საერთოდ ასეა. ამას მერე აშობს ისტორია... როდესაც რეალურად ადამიანი გყავს, ჩვენ მას უხედავთ, სამწუხაროდ, ვერ აღვიქვამთ და ვერ ვფასებთ ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ აქ მყოფთ თვალებს რომ



ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ თემური დაფასებულია უკვე დღეს! მასსოვს თელ-ავივის ეხალ ჰითარბუთის დიდ დარბაზში თემურის „ყვავილების ქვეყანა“. მამაქმს რომელიც ერთი წლის წინ გარდაიცვალა, ყველაზე ძალიან სწორედ ეს კომპოზიცია უყვარდა. თემურის მიერ შესრულებულ ნებისმიერ კომპოზიციას სენტიმენტების გარეშე ვერ ვუსმენ და ალბათ, ბევრი თქვენგანიც ასეა, რადგან ამ დროს იგრძნობა ის, რაც ენით არის გამოუთქმელი და აღუწერელი. კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, როდესაც თემურმა სრულად შემთხვევით გაიგო, რომ ჩვენ ფესტივალი გეკრძა ობოლ და მზუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში. თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და მგვიდა ამ ღონისძიებაზე. არავინ არ იცოდა ვინ

ხსნიდა ამ კონცერტს. ღონისძიება დაიწყო მეზღაპრის ფორმაში ჩატკულობა თემურ ყვითელაშვილმა. ეს ყველასათვის მოულოდნელი სიხარული გახლდათ. თემურ ყვითელაშვილის ხელები და მისი ხელოვნება დიდ სათქმელს აშობს.

ასევე სიტყვით გამოვიდნენ: ჯ. ხუზაშვილი, გ. პაატაშვილი, თინათინ ონაშვილი, რეზო შათაშვილი, ლექსები მოუძღვნეს თემურ ყვითელაშვილს – იოსებ ჯინჯიასვილმა, მარინა ბასილაშვილმა და იზაბელა მონინამ მარიკა მირველაშვილმა შეასრულა რადიკალიზმის მიმართა ებრაულად.

განსაკუთრებულად თბილი და სევდიანი გამოხვლა ჰქონდა, ქ-ნ ნანა იოსებაშვილს, რომელმაც საჩუქრად თემურს ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრის ბუკლეტები გადასცა, ხოლო უმცროს თემურ ყვითელაშვილს კი მინიატურული გიტარა.

ებრაელთა კულტურულ – საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა ლენა ბერკოვიჩმა, ფონდისა და „ჯონისის“ სახელით თ. ყვითელაშვილს საჩუქრად საქაფონისტის სტატუტები გადასცა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საღამოს მასპინძლობდა თბილისის სათემო სახლი, მისი დირექტორი ბ-ნი რეზო შათაშვილი, ებრაელთა კულტურულ – საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი ლენა ბერკოვიჩი და კლუბი „26 საუკუნე“.

ღონისძიებას ესწრებოდა ისრაელის საგანგებო და სრულყოფილი ელჩი საქართველოში ბ-ნი იცნაკ გერბერგი.

სალამო ძალიან ემოციური, თბილი, სევდიანი აღმოჩნდა. თემურ ყვითელაშვილს ვირტუოზობას მთელი დარბაზი აღფრთოვანებულად შესცქეროდა. თ. ყვითელაშვილის კომპოზიციების ფონზე, მისი დღის ქ-ნ ცილა ყვითელაშვილის ფოტოების კოლაჟი გადიოდა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ნახევარ ფასად თ. ყვითელაშვილის ბოლო ალბომი „დამზადებულია საქართველოში“ შეეძინათ, აგრეთვე ყველას საჩუქრად გადაეცა მისი კალენდარი.

დასასრულს თემურ ყვითელაშვილმა თავისი ცნობილი, ყველასათვის საყვარელი „ყვავილების ქვეყანა“ შეასრულა. სტუმრები ფეხზე დგომით და „ბრაგო“-ს შეძახილებით გამოხატავდნენ თავიანთ აღფრთოვანებას.

დარბაზში ტაში კიდევ დიდხანს არ შეწყვიტარა... მოაგზავნა ლილია ხომინკო



გულნარა ნიალური:

მე ვარ მხატვარი-მეამბოხი

გულნარა წიკლაური დაიბადა ქუთაისში. ის არის ინდივიდუალური ხელწერის მქონე პროფესიონალი მხატვარ-ფილოსოფოსი. მხატვრის ტილოები დაცულია საქართველოს, ამერიკის, ისრაელის, საფრანგეთის, რუსეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში, ნიუ-იორკის ბილ კლინტონის ფონდში, ამერიკის რუსული თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში.

გულნარა წიკლაურის შესახებ ამერიკასა და სხვა ქვეყნებში იბეჭდება სტატიები. გამოდის ბუკლეტები და კატალოგები, არსებობს რადიო და სატელევიზიო გადაცემები. მხატვარი არის საქართველოს მხატვართა კავშირისა და ნიუ-იორკის რიგი სამხატვრო ორგანიზაციების წევრი და არტ-დირექტორი. ამერიკაში ცხოვრების პერიოდში მოეწყო მხატვრის რამდენიმე პერსონალური გამოფენა, მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენებში.

„ანტიემპიტიზმი“ (იხ. „მ“ №4) გამოფენილი იყო შალომ ალექსიძის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე უდიდესი ებრაული ორგანიზაციის „ბნეი-ციონის“ საგამოფენო დარბაზში, ნიუ იორკში და სხვა საგამოფენო დარბაზებში. ამ ნახატის შესახებ დაიბეჭდა სტატიები ნიუ-იორკის ჟურნალ-გაზეთებში.

გთავაზობთ გაზეთ „ფორუმში“ დაბეჭდილ ინტერვიუს: „მე ვარ მხატვარი-მეამბოხი“

ასე განიცხადა შესანიშნავმა მხატვარმა გულნარა წიკლაურმა, რომელიც ცხოვრობს და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ნიუ-იორკში. მე გულნარას მრავალი მხატვრული ტილო და ნახატი მაქვს ნანახი და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მისი შემოქმედება არის ნიჭიერი, მაღალპროფესიონალი, ცხოვრების მწვავედ აღმქმელი მხატვრის შემოქმედება, რომელიც ყველაზე ცნობილ მუზეუმებსა და გალერეებს იმსახურებს!

ფენევაში მიმდინარე, ცნობილი კონფერენციის დღეებში გულნარამ რედაქციაში გამოგვიგზავნა ნახატის „ანტიემპიტიზმი“ ფოტო, რომელსაც შეეძლო გამხდარიყო ყველა ერის პასუხი შევიცარიაში მიმდინარე მოვლენაზე, მსოფლიოში ანტიემპიტიზმის ზრდაზე. შეხედეთ, როგორ ზუსტად გრძობს მხატვარი დროს!

– გულნარა, როგორ შეიქმნა სურათი?

– როგორც პიროვნება, წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ნაციონალური შეუწყნარებლობისა, რომელიც გამოიხატება ერთი ხალხის მიერ მეორის მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, კაცობრიობის ისტორიაში იგი ყოველთვის არსებობდა ყველა დროში, სხვადასხვა ხალხების მიმართ, მაგალითად, რუსეთში, დღევანდელ პირობებში, აშკარად მიუღებელია „კავკასიური და შუაზღვიური სახეები“. მაგრამ, ამ სამარცხვინო მოვლენის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს

ანტიემპიტიზმი, რომელიც, მოყოლებული ჯერ კიდევ ძველი დროიდან, დღესაც ცოცხალია და ხარობს. დანაშაულად მიიჩნევა უნებურად ირანის პრეზიდენტის ახმაინდელჯადის გამოხვლა, რომლისგანაც მოდის ანტიემპიტიზმისა და ანტიისრაელიზმის მძლავრი ნაკადი. მე, როგორც მოქალაქე და მხატვარი, არ შემიძლია მშვიდად ვუყურებდე ყოველივეს და ჩემი ნახატი გახლავთ სწორედ ჩემი პროტესტი ადამიანების დამცირებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ, მათი ეროვნებისა თუ რელიგიური აღმსარებლობის და ცხოვრების ადგილის მიუხედავად.

– როგორ წარმოიშვა სურათის კომპოზიციის იდეა?

– ეს ალგორითული სურათია, აქ მთავარი დატვირთვა დირიჟორზე მოდის, კომპოზიციის შემადგენელი დანარჩენი სიმბოლოები მასთან ერთად განმარტავენ სურათის თემატიკას. ჩემი პოზიცია ნაციონალური შეუწყნარებლობის მიმართ ამგვარად გამოვსატე!

– ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენი ნამუშევრის იმ ნაწილმა, სადაც დახატულია ადამიანთა ფეხები. იქნებ, ახსნათ.

– ეს არის ტანჯული ხალხის ფეხები. ეს იმ ადამიანების ფეხებია, რომლებიც სხვადასხვა დროს მიდიოდნენ გაზის საკნებისკენ, სიკვდილის ბანაკებისკენ, სახრბოებლებისკენ, მიდიოდნენ ბოლო გზაზე. ეს არის ის, სადამდეც საბოლოოდ

მიგვიყვანს ანტიემპიტიზმი და ქსენოფობია...

– ყურადღება მივაქციე სურათის ფერთა გამას, სადაც ბევრი „ცხელი“ ფერია.

– შევეცადე ფერით ვამომეცა ჩემი დამოკიდებულება ანტიემპიტიზმის მიმართ. სურათში არის ოპტიმიზმიც, მაგალითად, სიბრძნის წიგნთან, თორასთან ებრაული ხალხის უწყვეტი კავშირი.

– ეს ერთი ნამუშევარია, თუ მომავალი ციკლის დასაწყისი?

– ეს ციკლი უკვე არსებობს. თითქმის ყველა ჩემი ტილო გარკვეული მოვლენების მიმართ ჩემი დამოკიდებულების მხატვრული აღქმაა. ისინი კარგად ასახავენ ჩემი, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის მებრძოლ ბუნებას და ჩემი შემოქმედების მთავარ თემას – მუდმივ დაპირისპირებას სიკეთესა და ბოროტებას შორის.

მიხეილ ნიშირომსძე

გაზეთ „ფორუმის“ მთავარი რედაქტორი; ნიუ-იორკის რუსულენოვანი ებრაული ორგანიზაციების კავშირის პრეზიდენტი

გაზეთი „ფორუმი“, №234 ნიუ-იორკი, აშშ

ებრაული სატელეგრაფო სააგენტო გვატყობინებს:

ებრაული სააგენტო ბრალს სდებს

ებრაულმა სააგენტომ ისრაელისათვის უარი თქვა სანქტ-პეტერბურგში თავისი მზრუნველთა საბჭოს სხდომის ჩატარებაზე იმის მიზეზით, რომ რუსეთის მთავრობამ შესაძლოა არ დაუშვას ამ ღონისძიების ჩატარება.

სააგენტომ ჯერ კიდევ შემოდგომაზე გამოაცხადა, რომ მზრუნველთა საბჭო სანქტ-პეტერბურგში შეიკრიბება. სხდომის მიზანი იყო მზრუნველთა საბჭოს 120 წევრისათვის გაეცნოთ რუსეთში ჩასატარებელი ღონისძიებების პროექტი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „სონსუთი“ თვეების განმავლობაში მოსამზადებელ სამუშაოს ეწეოდა, ამას წინათ რუსეთის ხელისუფლებამ ცივი წყალი გადაასხა სხდომის ორგანიზატორებს. აი, რას წერს „სონსუთის“ მზრუნველთა საბჭოს წევრებს საინფორმაციო კომიტეტი. „ორი კვირის წინათ პირველად გვაცნობეს ზოგიერთი პრობლემის თაობაზე. ეს პრობლემები ეხება რუსეთში ებრაული სააგენტოს სტატუსს. ჩვენ დაუყოვნებლივ წარვადგინეთ ყველა აუცილებელი საბუთი. მას შემდეგ ველოდებით ოფიციალურ პასუხს, უკვე მივიღეთ უამრავი არაოფიციალური შენიშვნა, მაგრამ არ ჩანს გარკვეული და ოფიციალური პასუხი. დღეს კი მოსკოვში ისრაელის საელჩოს ოფისში გავიგეთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს: რუსეთში ჩვენი ოურიდული სტატუსი გარკვეულწილად არ შეესაბამება მზრუნველთა საბჭოს მოწვევის შესაძლებლობას. ასე რომ მზრუნველთა საბჭოს სხდომა გაიმართება იერუსალიმში.

– ნათელია რომ რუსეთს არ უნდოდა ეს შეხვედრა სანქტ-პეტერბურგში ჩატარებულიყო, გვითხრა საინფორმაციო წყარომ – ამიტომ მოიგონეს ბარიერები.

ქაშური რუსტორანი მოსკოვში

მოსკოვის ცენტრში გაიხსნა ბუხარული ქაშური რესტორანი. რესტორანი „СЕМЬ СОРОК“ ბენ ბენიამინოვს ეკუთვნის. იგი რუსეთისა და დსთ-ს ბუხარული ებრაელების კონგრესის პრეზიდენტი. რესტორანისთვის ტრავიკეთიდან სამუშაოდ რვა მზარეული მოიწვიეს. რესტორნის გახსნაზე დამსწრეთა შორის იმყოფებოდა ლევ ლევაიევი – ბუხარული ებრაელების მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, აგრეთვე ებრაელების დსთ-ს ებრაულ თემთა ფედერაციის ხელმძღვანელი, რუსეთის მთავარი რაბი ბერლ ლაზარი და ალექსანდრე

ბოროდა – რუსეთის ებრაულ თემთა ფედერაციის პრეზიდენტი. რესტორნის ქაშურ სამზარეულოზე გადასვლას საბად-ლუბოვიჩის წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ.

აგნათი - ბომბი

ყოფილი, რომლებშიც მათემატიკა და ბატარეა იდო, ისრაელის ჩრდილოეთით - ქალაქ მიგდალ-ჰაეშეკის საფოსტო განყოფილებაში აღმოჩინეს. ორივე ამანათი ერთი და იმავე ქალბატონის მისამართზე იყო გაგზავნილი. საფოსტო განყოფილებაში მისულმა პოლიციელებმა გაუგებრელებს ამანათები. მას მერე პოლიციამ მიუღი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო საფოსტო დაწესებულებების ჩხრეკა. ადამიანებს ურჩიეს გამოიჩინონ სიფრთხილე საფოსტო გზების გახსნის დროს. პოლიციამ ამ საქმის დეტალებს პუბლიკაცია აკრძალა.

ჯაშუები ვილი უარყო

„ჰამასის“ ლიდერმა უარყო თავისი შვილი მას მერე, რაც გაიგო, რომ იგი ისრაელისათვის ჯაშუაობდა. შვიხმა ხასან ოუსუფმა, რომელიც 2005 წლიდან ისრაელის საფრთხილშია გამოწვეული, 1 მარტს განცხადება გააკეთა, რომ იგი, მისი ცოლი და დანარჩენი შვილები უარყოფენ უფროს შვილს. ეს განცხადება მალულად იქნა გატანილი საპრობლეოდან. 32 წლის მოსაბ ხასან ოუსუფი დაახლოებით ათი წელი ისრაელის თავდაცვის სამსახურის - „შაბაკის“ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ ითვლებოდა. იგი „ჰამასზე“ ფასეულ ინფორმაციას აწვდიდა ამ სპეცსამსახურს. ათი წლის წინათ მოსაბ ჰასან ოუსუფი მონათლავდა, 2007 წელს კი კალიფორნიაში გადავიდა, სადაც აქამდეც ცხოვრობს. მისი ჯაშუური მოღვაწეობის ამბავი გაზეთმა „ჰარეცმა“ გაავრცელა. ეს განცხადება წინ უსწრებდა წიგნის „ჰამასის შვილის“ გამოსვლას, რომელიც ოუსუფმა რამ ბრაკინთან თანაავტორობით დაწერა. „მოსაბმა“ ოუსუფს კიდური მტრსახელი „შეგანე პრინცი“ მისცა. მისმა შაბაკთან თანამშრომლობამ ათეულობით ტერაქტი და ისრაელის მაღალჩინოსან მოღვაწეებზე თავდასხმის მცდელობა ჩააშლევინა ისრაელის სპეცსამსახურებს.

საბელისნარო ზღვარს ასცდა

ძლიერი წვიმების შედეგად კინერეთის ტბის ღონე იმატა და წითელ ხაზს ასცდა. ტბამ, რომელსაც გალილოს ზღვასაც უწოდებენ, 1 მარტს წვიმიანი უიკენდის შედეგად 10 სანტიმეტრით მოიმატა. კინერეთი კიდევ 4,5 მეტრით უნდა გადიდდეს, იმისათვის რომ შეივსოს – განუცხადა გაზეთ „ჯერუსალიმ პოსტ“-ის წყლის რესურსების პრესს – მდივანმა ური შორმა, – თუმცა, ბოლო წლიანხვედრის მანძილზე წყლის ღონე ტბაში არც ერთხელ არ აწეულა ახლანდელ ღონეზე. გაზაფხულისთვის წყლის ღონე საგარეოდ კვლავ დაიწვეს. რომლის შედეგადაც ძალიან სწრაფად იწყება. დამანერველი პროცესები. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ახლანდელი ზამთარი ყველაზე წვიმიანი გამოდგა, თუმცა, ისრაელელებს კვლავაც წყლის ეკონომიას ურჩევენ.

ელჩი ბალაყენას

ისრაელის ელჩი ბელორუსიაში, რომელიც ეჭვმიტანილია ავიგლორ ლებერმანისათვის ინფორმაციის გადაცემაში, სამსახურს დროებით ჩამოაშორეს. კანცელარიის ოურიდული მრჩეველი სამსახურს გაურკვეველი პერიოდით ჩამოაშორეს. აცხადებენ, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინარული სასჯელი. პოლიციამ ბელორუსიაში ყოფილ ელჩს სთხოვა დახმარება ლებერმანის კორუფციული საქმიანობის გამოძიებაში. ელჩს ბელორუსიის ბანკებისა და მთავრობის მოხელეებისათვის მიუღი რიგი კითხვები უნდა დაესვა. ბენ არიემ კი ამ შეკითხვების ასლი ა. ლებერმანს გადასცა. პოლიცია აცხადებს, რომ დაკითხვაზე ბენ არიემ აღიარა მის მიმართ წაყენებული ბრალდება. ლებერმანი ეჭვმიტანილია საგარეო საქმეთა სამინისტროში ბენ არიეს დაწინაურებაში, თითქოსდა მიღებული ინფორმაციის სანაცვლოდ.

თარგმან ლიბია ხომენაო

დამფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11 ^ბ , ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57	რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთავრობის რეგისტრაციის სამსახურში მ. იმერ. რეგისტრაციის № 4/1-921	რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003
--	---	--